International Labour Organization

COVID-19 და განთავსების, საკვებით მომსახურების საქმიანობები

პრევენცია და საკონტროლო კითხვარი

დოკუმენტის ქართულ ენაზე თარგმნა განხორციელდა პროექტის ILO/DANIDA „ყოვლისმომცველი შრომის ბაზარი სამუშაო ადგილების შესაქმნელად საქართველოში“ ფინანსური ხელშეწყობით

1-ლი ვერსია, აგვისტო 2020 წ.

COVID-19-ის გავრცელება გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს ტურიზმის დარგზე. COVID-19-ის პანდემიის შეკავების მიზნით შემოღებულმა ღონისძიებებმა სასტუმრო და საკვებით მომსახურების ქვესექტორები განსაკუთრებით დააზარალა. მრავალი ქვეყანა ვირუსთან ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადის და ამავედროულად ამ ქვესექტორების, და ზოგადად ეკონომიკის, ხელახლა ამოქმედების პროცესს უძღვება.

წინამდებარე კითხვარის მიზნებისათვის ტერმინი „განთავსების და საკვებით მომსახურების საქმიანობები“ ვიზიტორების და სხვა მოგზაურების მოკლევადიანი საცხოვრებელი ადგილით, ასევე დაუყოვნებელი მოხმარებისათვის, ან საგზლად წასაღებად საკვებით და სასმელით უზრუნველყოფას გულისხმობს. ამ ქვესექტორებში მომუშავე პირებსა და ვიზიტორებს/მოგზაურებს შორის კონტაქტი განსაკუთრებულ ყურადღებას და დაცვის ღონისძიებების შემოღებას მოითხოვს.

[შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) *ასწლეულის დეკლარაცია შრომის მომავლის შესახებ*](#) ხაზს უსვამს, იმას რომ „ღირსეული შრომისათვის ფუნდამენტურია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების არსებობა“. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, რადგან სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა აუცილებელია COVID-19 პანდემიის სამართავად და მუშაობის გასაგრძელებლად, განსაკუთრებით განთავსების და საკვებით მომსახურების ქვესექტორებში, სადაც ადამიანებთან ურთიერთობას არსებითი მნიშვნელობა აქვს.[1]

წინამდებარე კითხვარი წარმოადგენს პრაქტიკულ და მონაწილეობით ინსტრუმენტს, რომლის დანიშნულებაა განთავსების და საკვებით მომსახურების ქვესექტორებში COVID-19-ის გავრცელების პრევენცია და შერბილების პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება და უწყვეტი გაუმჯობესება.

განთავსების და საკვებით მომსახურების ქვესექტორებში სამუშაო ადგილზე დადებითი ცვლილებების მოხდენისა და COVID-19-ზე რეაგირების და მზაობის გაუმჯობესების მიზნით ზემოაღნიშნული ინსტრუმენტის წარმატებული განხორციელება დამსაქმებლებს, დასაქმებულებს და მათ წარმომადგენლებს შორის აქტიურ თანამშრომლობასა და სოციალურ დიალოგზეა დამოკიდებული.

სამიზნე ჯგუფები

წინამდებარე კითხვარი განკუთნვილია განთავსებისა და საკვებით მომსახურების ყველა სახის საქმიანობისთვის,* მათი განმახორციელებელი სამეურნეო ერთეულის ზომის ან ადგილმდებარეობის მიუხედავად. ეს ინსტრმენტი განკუთვნილია ყველა დასაქმებულისთვის, მათ შორის არასრულ განაკვეთზე მომუშავე და დასაქმების სხვა არასტანდარტული ფორმით დასაქმებული პირებისათვის (NSFE), როგორიცაა გარეშე კონტრაქტორები და ნულოვანი საათის კონტრაქტორები.** ეს კითხვარი შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, რომელთაც ამ დარგში იყენებენ. აღნიშნული კითხვარით შეიძლება ისარგებლონ დამსაქმებლებმა, დასაქმებულებმა და მათმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ვიზიტორების და სხვა მოგზაურების მოკლევადიანი განთავსების, ასევე დაუყოვნებელი მოხმარებისათვის, ან საგზლად წასაღებად საკვებით და სასმელით მომსახურების მიწოდებაში მონაწილეობენ.

ვიზიტორებისა და სხვა მოგზაურების განთავსების და საკვებით მომსახურების ქვესექტორებში დასაქმებულ პირთა თანამდებობების არასრული ჩამონათვალია: მზარეულები, ოფიციანტები, სატვირთო მანქანით გადამზიდავები, კურიერები, კონსიერჟები, რეგისტრატორები, მომსახურე პერსონალი და დამლაგებლები.***

* განთავსებისა და საკვებით მომსახურების საქმიანობებისათვის იხილეთ *გაერის სტატისტიკის განყოფილების საერთაშორისოსტანდარტი „ყველა ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჯამსიფიკაცია (ISIC), მე-4 ვერსია* სასტუმრო სექტორი მოიცავს: სასტუმროებს;
საკურორტო სასტუმროებს; აპარტამენტიან სასტუმროებს; მოტელებს; მოტელ-სასტუმროებს; საოჯახო სასტუმროებს; პენსიონერთა სახლებს; ღამის გასათევ/საუზმის მომსახურებით უზრუნველყოფილ ოთახებს კერძო სახლებში; ვიზიტორთათვის ბინებს და ბუნგალოებს; ფიქსირებული დროით ქონების მფლობელების მიერ ('თაიმშეარი') საკურორტო ბინების გამოყენება; საზაფხულო სახლებს; სააგარაკო კოტეჯებს, მომსახურებას, კოტეჯებსა და ქოხებს; ახალგზრდულ ტურბაზას და ქოხებს მთ კემპინგის ადგილებს. საკვებით და სასმელებით მომსახურება მოიცავს რესტორნებს და კვებით მომსახურების საქმიანობებს (რესტორნები; კაფეტერიები; სწრაფი კვების რესტორნები; წასაღები საჭმლის შეკვეთის ადგილები; კვების მობილური ფურგონები; საჭმლის მომზადება საბაზრო დახლებზე; ბარები; ტავერნები; კოქტეილის ლაუნჯები; სამიკიტნოები; ყავის კაფეები; და ხილის წვენის ბარები).

** იხილეთ *ILO-ს გაიდლაინები ღირსეული სამუშაოსა და პასუხისმგებლიანი ტურიზმის შესახებ* , 2017 წ..

*** ეს სია არ არის სრული და განთავსების და საკვებით მომსახურების საქმიანობებში არსებული თანამდებოების მხოლოდ შეზღუდულ ჩამონათვალს მოიცავს.

1 ასევე იხილეთ ILO-ის *სამუშაოსთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური რისკები COVID-19-ის პანდემიის დროს,* 2020 წ.

როგორ ვისარგებლოთ კითხვარით

- მრავალფეროვანი პერსპექტივის უზრუნველყოფის მიზნით ჩამოაყალიბეთ *შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის* (OSH) კომიტეტის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგელებისაგან შემდგარი რეაგირების გუნდი, ასევე დაასახელეთ პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სხვადასხვა ფუნქციების შესრულებაზე. გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც ზედამხედველობა უნდა გაუწიოს COVID-19-ის რეაგირების გეგმის განხორციელებას, გათვალისწინებულ უნდა იქნას გენდერული ბალანსი და მრავალფეროვნება.
- რეაგირების ფასილიტატორმა, რომელსაც OSH-ის კომიტეტი დანიშნავს, უნდა უხელმძღვანელოს, ინფორმაცია მიაწოდოს და მოამზადოს გუნდი კითხვარის შევსებასა და შედეგების ასახვაში.
- რეაგირების გუნდის მუშაობის ფარგლებში პრიორიტეტი მიანიჭეთ განსახორციელებელ ქმედებებს - განსაზღვრეთ შემსრულებლები და განხორციელების ვადები - რათა პასუხი გაეცეს ნებისმიერ შეკითხვას, რომელსაც „არა“ პასუხი გასცეს რესპოდენტებმა.
- რეაგირების გუნდმა ნებისმიერი ეჭვი ან შეკითხვა დაუყოვნებლივ უნდა დააზუსტოს OSH-ის ორგანოებთან, შრომის ინსპექტორებთან, უსაფრთხოების და ჯანდაცვის ეროვნულ ასოციაციებთან, დამსაქმებლების და დასაქმებულთა ორგანიზაციებთან.

წინამდებარე კითხვარი საჭირო ღონისძიებების სრულ ჩამონათვალს არ შეიცავს. სხვა საკითხები შეიძლება დაამატოთ საჭიროებისამებრ და მისი ადაპტირება მოახდინოთ თითოეული პროფესიის და საქმიანობის მიხედვით.

კითხვარი ითვალისწინებს გარკვეული პრიცნიპების დაცვას, როგორიცაა: მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები, შრომის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, შრომის უსაფრთხოება, სოციალური დიალოგი, თანამშრომლობა და გენდერული საკითხების გათვალისწინება დამსაქმებლების, დასაქმებულების და მათი წარმომადგნელების მიერ. ამასთან, ვირუსის გადაცემის მტკიცებულებაზე მჭიდრო მონიტორინგი უნდა განხორციელდეს და წინამდებარე კითხვარი ჯანდაცვის საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანოების სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად უნდა გადაისინჯოს.

COVID-19-თან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ ILO-ს სტანდარტებსა და გამოცემებში მოიძიოთ:

- ILO-ს ფუნდამენტური კონვენციები:
  - გაერთიანების თავისუფლებისა და ორგანიზების უფლების დაცვის შესახებ კონვენცია, 1948 წ. (No.87);
  - ორგანიზებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების უფლების შესახებ კონვენცია, 1949წ. (No 98);
  - იძულებითი შრომის შესახებ კონვენცია 1930 წ. (No. 29) და იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის 2014 წლის პროტოკოლი, 1930;
  - იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ კონვენცია, 1957 წ. (No. 105);
  - მინიმალური ასაკის შესახებ კონვენცია, 1973 წ. (No. 138);
  - ბავშვთა შრომის ყველაზე უარესი ფორმების შესახებ კონვენცია, 1999 წ. (No. 182);
  - თანაბარი ანაზღაურების შესახებ კონვენცია, 1951 წ. (No. 100); და
  - დისკრიმინაციის (დასაქმება და საქმიანობის სახეობა) შესახებ კონვენცია, 1958 წ. (No. 111);
- ძალადობისა და შევიწროების შესახებ კონვენცია, 2019 წ. (No. 190);
- სამუშაო პირობების შესახებ (სასტუმროები და რესტორნები) კონვენცია (No. 172), და რეკომენდაცია, (No. 179), 19 91 წ.
- შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ კონვენცია, 1981 წ. (No. 155), კონვენციის 2002 წლის პროტოკოლი, და შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ რეკომენდაცია, 1981 წ. (No. 164)
- შრომის ჰიგიენის სამსახურის შესახებ კონვენცია, 1985 წ. (№161) და რეკომენდაცია (No. 171), 1985 წ.
- შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ხელშემწყობი ჩარჩო-სისტემის შესახებ კონვენცია 2006 წ. (No. 187)
- დასაქმებისა და ღირსეული სამუშაოს შესახებ რეკომენდაცია

მშვიდობისა და მდგრადობისათვის, 2017 წ. (No. 205)

- ILO-ის მითითებები შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მართვის სისტემების შესახებ, ILO-OSH 2001 წ.
- მეთოდური რეკომენდაცია *სამუშაო ადგილზე უსაფრთხო დაბრუნება: ათი სამოქმედო პუნქტი* შეიცავს მითითებებს დამსაქმებლებისთვის, დასაქმებულების და მათი წარმომადგენლებისთვის პრევენციის ღონისძიებების შესახებ COVID-19-ის კონტექსტში სამუშაო ადგილზე უსაფრთხოდ დასაბრუნებლად შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის რისკის მართვის შესახებ ILO-ის დამკვიდრებული პრინციპებისა და მეთოდები დაცვით.
- მეთოდური რეკომენდაცია *სამუშაო ადგილზე უსაფრთხო დაბრუნება ჯანმრთელობის დაცვით COVID-19-ის პანდემიის პირობებში* განკუთვნილია იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს მთავრობებს, დამსაქმებლების და დასაქმებულთა ორგანიზაციებს სამუშაო ადგილზე ეტაპობრივი და უსაფრთხო დაბრუნების შესახებ საერთოეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში და შესთავაზოს სახელმძღვანელო მითითებები სამუშაო ადგილზე რისკების დონების შეფასების, კონტროლის ღონისძიებების იერარქიაზე დაფუძვნებული პრევენციული და დამცავი ღონისძიებების განხორციელების შესახებ.
- რეკომენდაცია *სამუშაო ადგილზე უსაფრთხო დაბრუნება: COVID-19-ის პრევენციის შესახებ მითითებები დამსაქმებლებისათვის* შეიცავს ზოგად მითითებას და ინფორმაციას დამსაქმებლებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინონ COVID-19-ის გავრცელების პრევენცია სამუშაო ადგილზე და დასაქმებულებს მისცენ სამუშაო ადგილზე უსაფრთხო დაბრუნების შესაძლებლობა დაინფიცირების რისკის შემლებისდაგვარად მაქსიმალური შემცირების პირობებში.
- ღონისძიებათა შესახებ კითხვარი *სამუშაო ადგილზე COVID-19 პრევენციისა და შერბილების ღონისძიებების განხორციელება* გვთავაზობს მარტივ და თანამშრომლობაზე დაფუძვნებულ მიდგომას COVID-19-ის რისკების შესაფასებლად, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები.

- ხშირად დასმული შეკითხვები (FAQ) - *COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებული შრომის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი დებულებები,* რომელიც გვთავაზობს მთელ რიგ პასუხებს შრომის საერთაშორისო სტანდარტების და COVID-19-თან დაკავშირებით ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე.
- ILO-ის ანგარში *სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების დაცვა პანდემიის პირობებში* ხაზს უსვამს COVID-19-ის გავრცელების შედეგად წარმოქნილ შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს სამუშაო ადგილზე. მასში ასევე განხილულია პანდემიასთან დაკავშირებული ვირუსით დაინფიცირების რისკის, ფსიქოლოგიური რისკების, ერგონომიული და შრომის უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებები.
- ILO-ის გზამკვლევი COVID-19*-ის პანდემიასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური რისკების მართვა,* რომელიც დამსაქმებლებსა და მენეჯერებს, დასაქმებულებთან და სხვა წარმომადგენლებთან კონსულტაციის შედეგად, სთავაზობს ფსიქოლოგიური რისკების შეფასების და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროს გასათვალისწინებელ ძირითად ასპექტებს პანდემიის კონტექსტში დასაქმებულთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დასაცავად.
- ILO-ის *ტექნიკური და ეთიკური სახელმძღვანელო მითითებები დასაქმებულთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობისთვის* (1998 წ.), განკუთვნილია მათ დასახმარებლად, ვინც პასუხისმგებელნი არიან დასაქმებულთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის პროგრამების შემუშავებაზე, შემოღებაზე, განხორციელებასა და მართვაზე, რათა მათ პრევენციული ქმედებები განახორციელონ ყველასთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის.

შემდეგი პუბლიკაციები შეიცავს დამატებით მითითებებს: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) *განთავსების სექტორში COVID-19-ის მართვისას გასათვალისწინებელი საკითხები;* დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IOE) მითითება *სამუშაო ადგილზე დაბრუნება COVID-19-ის პირობებში;* პროფესიული კავშირების საერთაშორისო კონფედერაცია (ITUC), *სამუშაო ადგილებზე დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები: ITUC-ის COVID-19 შესახებ ბრიფინგი;* და სურსათის, სოფლის მეურნეობის, სასტუმროების და რესტორნების, კვებისა და თამბაქოს ინდუსტრიის და მასთან დაკავშირებული მუშაკების პროფესიული ასოციაციების საერთაშორისო კავშირის (IUF) დოკუმენტი *COVID-19-ის პირობებში სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოდ დაბრუნების შესახებ მითითებები სასტუმროების, რესტორნების და კვების სექტორისათვის (HRCT).*

წინამდებარე კითხვარის **1-ლი ნაწილი** შეიცავს მითითებებს დაცვის ზოგადი ღონისძიებების შესახებ, რომელთა მიზანია სასტუმრო სექტორსა და საკვებით მომსახურების საქმიანობებში ჩართულ ყველა ტიპის ობიექტებში და ნებისმიერ თანამდებობაზე მომუმუშავე დასაქმებულის და სტუმრის/ მომხმარებლის დაცვა.

მე-2 ნაწილი გვთავაზობს მითითებებს რესურსების დაგეგმვის, კომუნიკაციის და მართვის სისტემების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული და შემცირდეს COVID-19-ით დაინფიცირების რისკები და განხორციელდეს მოსამზადებელი სამუშაოები სამუშაო ადგილზე უსაფრთხო დაბრუნებისათვის.

მე-3 ნაწილში კი მოცემულია დამატებითი ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელთა დანიშნულებაა ცალკეულ თანამდებობებზე მომუშავე და სამუშაოების შემსრულებელი დასაქმებულებისა, და სტუმრების/მომხმარებლების დაცვა. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

1-ლი ნაწილი. დაცვის ზოგადი ღონისძიებები

ყველა დამსაქმებელმა და დასაქმებულმა მიზნად უნდა დაისახოს COVID-19 -გან დაცვის ღონისძიებების შესრულება, როგორიცაა ხელის ჰიგიენა, ფიზიკური დისტანცია, თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებისაგან თავის არიდება, რესპირატორული ჰიგიენა და სახლში დარჩენის შესახებ რჩევის გათვალისწინება, ხოლო ამ დაავადების შესაბამისი სიმპტომების გამომჟღავნების შემთხვევაში მიიღოს სამედიცინო დახმარება.

ჰიგიენა და გაწმენდა

1.1	მიიღეთ ზომები ტურიზმის სექტორში მომუშავე დასაქმებულების პერსონალური ჰიგიენის სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორიცაა ხელის ჰიგიენა (ხშირი დაბანა და დეზინფექცია), თვალებზე, ცხვირზე და პირზე ხელის შეხებისაგან თავის არიდება, დახველების ან დაცემინების დროს პირის და ცხვირის დაფარვა მოხრილ მკლავში, ან ქაღალდის ცხვირსახოცით დაფარვა, და სადაც ეს საჭიროა, პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენება (მაგალითად, სახის ნიღბები და ხელთათმანები)?[2]	☐ დიახ ☐ არა
	· ხელმისაწვდომია წყალი და ხელის დაბანვის პუნქტები დასაქმებულების და სტუმრებისთვის/მომხმარებლებისთვის, რათა მათ შეძლონ ხელების დაბანა?	☐ დიახ ☐ არა
	· გაქვთ საპონის, სადეზინფექციო საშუალებების, ხელის ანტიბაქტერიული სითხის, ქაღალდის ხელსახოცების და ქაღალდის ცხვირსახოცების საკმარისი მარაგი, რათა დასაქმებულებმა და სტუმრებმა/მომხმარებლებმა შეძლონ ხელების დაბანა საპნით და წყლით, ასევე შეეძლოთ ალკოჰოლის შემცველი ანტიბაქტერიული სითხით ხელების დეზინფექცია?	☐ დიახ ☐ არა
	· მოათავსეთ ალკოჰოლის შემცველი ანტიბაქტერიული სითხის დისპენსერები გამოსაჩენ ადგილებში და შემოსასვლელში და რეგულარულად შეავსებთ ხოლმე მათ?	☐ დიახ ☐ არა
	· შემოიღეთ სათანადო გაწმენდის და დეზინფექციის პროცედურები ყველა სამუშაო ტანსაცმლისა და პირადი დაცვის საშუალებების გულდასმით გასაწმენდად?	☐ დიახ ☐ არა
	· დადგით ავტომატურ-თავსახურიანი ნაგვის ურნები ნაგვის, ერთჯერადი ხელსახოცების და ა.შ. ჰიგიენური განთავსებისათვის?	☐ დიახ ☐ არა
1.2	შემოიღეთ ჰიგიენის სათანადო პრაქტიკა? (როგორიცაა, სამუშაო არეალისა და იმ ადგილების, რომელთაც ხშირად ეხებიან ხელით, სამზარეულოს აღჭურვილობის, სასტუმროს ნომრებისა და სასადილო ოთახების, საერთო სივრცეების, საცურაო აუზებისა და სპა-ოთახების, ლიფტების, ტურისტებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, კარების სახელურების, მაგიდების და სკამების, ტელეფონების, რადიოების, კომპიუტერიზებული სამუშაო ადგილების, კლავიაუტრების, კომპიუტერის მაუსის და მაუსის დასადები რბილი საგების, კედლების, იატაკის, მონიტორების და ტუალეტების, და სხვა რეგულარული დეზინფიცირება და ანტიბაქტერიული საშუალებებით გაწმენდა)?	☐ დიახ☐ არა
	· სპეციალურ ყურადღებას უთმობთ სამზარეულოს ავეჯის/ტექნიკის, ნივთების, დანა-ჩანგალის, ჭურჭლის, სავაჭრო ავტომატების, ყავის და წყლის დისპენსერების და სასმელი ჭიქების, ასევე ხშირად გამოყენებული ნივთების, და სხვა ნებისმიერი ზედაპირის, რომელსაც ხშირად ეხებიან ხელით, დეზინფიცირებას? გაქვთ საპნის, სადეზინფექციო საშუალებების, ხელის ანტიბაქტერიული სითხის, ქაღალდის ხელსახოცებისა და ცხვირსახოცების საკმარისი მარაგი?	☐ დიახ☐ არა
	· შეამცირეთ ხელით ხშირად შეხების ზედაპირები, სადაც ეს შესაძლებელია?	☐ დიახ☐ არა

1.3	შემოიღეთ განახლებული პროცედურები, რათა ხელი შეუწყოთ ციფრული, უკონტაქტო ოპერაციების უფრო მეტად გამოყენებას ხელით შეხების ყველა შესაძლო ადგილას?	☐ დიახ ☐ არა
	· ხელს უწყობთ უკონტაქტო რეგისტრაციის, წინასწარი დაჯავშნის, ონლაინ გადახდის და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას (ელ. ბილეთები და ელ. დაჯავშნა) რესტორნების, სასტუმროების, ბარების და სხვა კლიენტების მიერ?	☐ დიახ ☐ არა
	· გადახდის და დაჯავშნის ტრადიციული საშუალებების გამოყენება კვლავ შესაძლებელია მათთვის, ვისაც ხელი არ მიუწვდება ახალ ტექნოლოგიებზე?	☐ დიახ ☐ არა

1.4	დასაქმებულებისთვის უფასოდ გადასაცემად მზად გაქვთ პირადი დაცვის აღჭურვილობის (PPE), მათ შორის სახის ნიღბები, სახის დამცავი ფარები და ხელთათმანები - საკმარისი მარაგი ყველა დასაქმებულის COVID-19-გან დასაცავად?	☐ დიახ ☐ არა
	· პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE) ადაპტირებულია როგორც ქალების, ასევე კაცების სხეულებისთვის?	☐ დიახ ☐ არა

2 უფრო მეტი ინფორმაციისთვის გაწმენდის და დეზინფიცირების, მათ შორის გასაწმენდი პროდუქტების შესახებ იხილეთ *ჯანმო-ს (WHO) გასათვალისწინებელი საკითხები დამინავების სექტორის მართვისას: შუალედური პერიოდის მითითებები.*

ფიზიკური დისტანცია

1.5	ფიზიკური დისტანციის დაცვის პრაქტიკა შეესაბამება ეროვნულ რეკომენდაციებს და ხელს უწყობთ მათ დაცვას საერთო სივრცეებში, მათ შორის, მაგალითად, მაგიდებს შორის მანძილის დაცვას რესტორნებში?	☐ დიახ ☐ არა

1.6 მოწყობილია ხის, პლექსიგლასის და სხვა მსგავსი მასალებისაგან დამზადებული ფიზიკური ბარიერები დასაქმებულთა დასაცავად, სადაც რეკომენდებული ფიზიკური დისტანციის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია? ☐ დიახ ☐ არა

1.7	მუდმივად ხორციელდება შესასვლელების და თავშეყრის ადგილების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებულების და სტუმრების/მომხმარებლების მიერ ფიზიკური დისტანციის დაცვა?	☐ დიახ ☐ არა

1.8

განსაზღვრეთ მომხმარებლების/სტუმრების ნაკადების გადაადგილების სქემები და საერთო სივრცეების გამოყენების პროტოკოლები?	☐ დიახ ☐ არა
· სართულები აღნიშნულია შესაბამისი პროტოკოლების შესაბამისად (მაგალითად, საცნობი ნიშნებით) დასაქმებულებისათვის, კურიერებისა და მომხმარებლებისთვის/სტუმრებისთვის?	☐ დიახ ☐ არა

1.9	სამზარეულოში, ბარში და რეგისტრატურაში, გამაჯანსაღებელ სივრცეებში და სხვა ადგილებზე მომუშავე დასაქმებულთა რიცხვი შეზღუდულია და ადექვატურად იმართება, რათა მათ შეძლონ ფიზიკური დისტანციის დაცვა საერთოეროვნული მოთხოვნების შესაბამისად?	☐ დიახ ☐ არა

დასაქმებულთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობა, თვით-მონიტორინგი და კონტაქტების დადგენა

1.10 ყველა დასაქმებულს და მათზე დამოკიდებულ პირებს მიუწვდებათ ხელი სოციალურ დახმარებებზე, როგორც ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს? ☐ დიახ ☐ არა

1.11	[დაწესებულების] ხელმძღვანელობას კავშირი აქვს სამუშაო ადგილებზე ჯანდაცვის სამსახურებთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ, რეგიონალურ ან ეროვნულ ორგანოებთან, რათა განიხილონ COVID-19-ზე ტესტირების ხელმისაწვდომობის, მათ შორის მისი სამუშაო ადგილზე ხელმისაწვდომობის, საკითხი?	☐ დიახ ☐ არა

1.12	ყველა დასაქმებულს აქვს ავადმყოფობის გამო ფასიანი შვებულება - როგორც ამას ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს - სამუშაოზე დაბრუნების დღიდან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი სახლში დარჩენა, თუ ისინი ავად გახდებიან (მუშაობის ვალდებულების გარეშე), ან თვით-კარანტინში მოქცევა, რათა ვირუსის გავრცელება თავიდან იქნეს აცილებული?	☐ დიახ ☐ არა
1.13	არსებობს შეთანხმებები იმისათვის, რომ მოხდეს ახლოს მდებარე საავადმყოფოში ან სამედიცინო კლინიკებში დასაქმებულთა უსაფრთხოდ გადაყვანა მათთვის ფასის გადახდევინების გარეშე?	☐ დიახ ☐ არა
1.14	შემოიღეთ დამცავი ღონისძიებები იმ დასაქმებულებისათვის, რომლებიც დამატებითი რისკის წინაშე დგანან, მათ შორის ორსული ქალი დასაქმებულებისთვის და თანმდევი სამედიცინო მდგომარეობისა და დაავადებების მქონე დასაქმებულებისთვის?	☐ დიახ ☐ არა
1.15	შემოიღეთ სისტემები და პროცედურები იმ დასაქმებულების ან სტუმრების/მომხმარებლების გამოსავლენად და აღსარიცხად, რომლებიც ნებისმიერ იმ პირთან შესაძლო კონტაქტის რისკის წინაშე დგანან, რომელთაც სავარაუდოდ COVID-19 აქვთ, ან რომელთაც ეს დაავადება დაუდასტურდათ?	☐ დიახ ☐ არა
1.16	დასაქმებულებმა მიიღეს რჩევა და ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელონ თვით-მონიტორინგი და როგორ განაცხადონ COVID-19-ის ყველაზე გავრცელებული სიმპტომების (მაგ. ცხელება, მშრალი ხველა, დაღლილობა, ყნოსვის და გემოს დაკარგვა) გამომჟავნების შემთხვევაში?	☐ დიახ ☐ არა
1.17	ინფორმირებულნი არიან დასაქმებულები, თუ როდის უნდა განახორციელონ თვით-კარანტინი და როგორ მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში, მათ შორის ავადმყოფი მომხმარებლების/სტუმრების შემთხვევებში?	☐ დიახ ☐ არა
1.18	შემუშავებულია დასაქმებულთა სამუშაოზე გამოცხადების განრიგი, რათა თითოეულ დასაქმებულს შესაძლებლობა ჰქონდეს ინდივიდუალურად გამოიცვალოს ტანსაცმელი გამოსაცვლელ ოთახში, ან უზრუნველყოფილ იქნას ფიზიკური დისტანციის დაცვა დასაქმებულებს შორის?	☐ დიახ ☐ არა
1.19	დასაქმებულთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობა ჯანდაცვის საერთაშორისო და ეროვნული ორგანოების მიერ შემუშავებული მითითებების შესაბამისად მიმდინარეობს?[3]	☐ დიახ ☐ არა
1.20	გაქვთ ადექვატური 'უკონტაქტო' თერმომეტრები დასაქმებულების სკრინინგისთვის?	☐ დიახ ☐ არა
1.21	შემოიღეთ შეთანხმებული, კონფიდენციალური სისტემა COVID-19-ის გავრცელების მეთვალყურეობისთვის („COVID-19-ის საკოორდინაციო კომიტეტი"), ან ინტეგრირებულია იგი დასაქმებულთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის რეგულარულ სისტემაში ეროვნული კანონებისა და მარეგულირებელი წესების შესაბამისად, და დასაქმებულებთან და მათ წარმომადგენლებთან კონსულტაციის შედეგად?	☐ დიახ ☐ არა
	• დაცულია დასაქმებული პირების ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება? ინფორმაცია დასაქმებულთა ჯანმრთელობის, პირადი პრობლემების ან ოჯახის საკითხების შესახებ არ უნდა გამოითხოვოთ, თუ ეს ზეგავლენას არ ახდენს მათ მუშაობაზე და არ უნდა მოხდეს მისი გაზიარება დასაქმებულის ცალსახა თანხმობის გარეშე.	☐ დიახ ☐ არა
	• COVID-19-ის შემთხვევები, სიმპტომები და ტენდენციები აღირიცხება და მიეწოდება ხელმძღვანელობას, დასაქმებულებს, შრომის უსაფრთხოების კომიტეტს, სამუშაო ადგილზე ჯანდაცვის სამსახურებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივ, რეგიონალურ ან ეროვნულ ორგანოებს?	☐ დიახ ☐ არა

➡ მე-2 ნაწილი. დაგეგმვა, მართვის სისტემები და ტრეინინგები სამუშაო ადგილზე უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის მოსამზადებლად

დადგეგმვა, რესურსების განაწილება, კომუნიკაცია და მართვის სისტემები უზრუნველყოფს COVID-19-ის მიმართ ექსპოზიციის და COVID-19-ის გავრცელების პრევენციას და რისკების შემცირებას.

დაგეგმვა და მართვის სისტემები[4]

ინფორმაცია და კონსულტაციები

2.1	დაუკავშირდა ხელმძღვანელობა ჯანდაცვის ადგილობრივ ორგანოს, სასტუმროების, რესტორნების, საკვებით მომსახურებისა და ტურიზმის ადმინისტრაციას და დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციებს შრომის უსაფრთხოების (OSH) წესებისა და მარეგულირებელი ნორმების შესახებ ინფორმაციისა და მათთან შესაბამისობაში მოსვლის შესახებ რჩევის მისაღებად?	☐ დიახ ☐ არა
2.2	ჩამოაყალიბეთ სოციალური დიალოგის ეფექტური მექანიზმი და შეუძლიათ დასაქმებულებს შეხვედრების გამართვა არსებული სიტუაციის განსახილველად იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოება და სამუშაო პირობები COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით?	☐ დიახ ☐ არა
2.3	ჩამოაყალიბეთ სამუშაო ადგილზე ხელმძღვანელობას, დასაქმებულებს და მათ წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის პლატფორმები, როგორიცაა შრომის უსაფრთხოების (OSH)ერთობლივი კომიტეტები ან COVID-19-ის საკითხების კოორდინირების ადგილობრივი კომიტეტი, რომელთა შემადგელობაში დასაქმებულთა წარმომადგენლებიც შედიან, რათა დაგეგმონ და ხელი შეუწყონ [დაწესებულების] ხელმძღვანელობას საჭირო ღონისძიებების განხორციელებაში, თანაშრომლებთან ურთიერთობაში, პროტოკოლების აღსრულებასა და მომსახურებების მიწოდებაში?	☐ დიახ ☐ არა
2.4	შრომის უსაფრთხოების კომიტეტთან (OSH) კონსულტაციით განხილულ იქნა ცვლებში მუშაობის საკითხი დასაქმებულებთან და მათ წარმომადგენლებთან?	☐ დიახ ☐ არა

3 იხილეთ: შსო-ის (ILO) ტექნიკური და ეთიკური სახელმძღვანელო მითითებები დასაქმებულთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობისთვის (1998).
4 იხილეთ: შსო-ის მითითებები შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მართვის სისტემების შესახებ ILO-OSH (2001)

რისკების შეფასება/მომზადებისა და რეაგირების გეგმა

2.5	დასაქმებულებთან და მათ წარმომადგენლებთან ერთად განხორციელდა რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე COVID-19-თან დაკავშირებული კონკრეტული რისკების განსახილველად? გათვალისწინებულ იქნა ყველა სამუშაო სივრცე და ის სამუშაოები, რომელთაც თითოეული დასაქმებული ასრულებს მათი შრომითი ურთიერთობის სტატუსის და საკონტრაქტო პირობების მიუხედავად?	☐ დიახ ☐ არა
2.6	რისკის შეფასებაში გათვალისწინებულ იქნა:	
	· სამუშაო ადგილზე დაბრუნების რისკები	☐ დიახ ☐ არა
	· როგორ იქნეს უზრუნველყოფილი სისტემური კონტროლის და მოსაზრებების მიღება ILO-ის მითითებების - *შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის მართვის სისტემების შესახებ ILO-OSH 2001* - შესაბამისად?	☐ დიახ ☐ არა
2.7	დასაქმებულებთან და მათ წარმომადგენლებთან კონსულტაციით შეიმუშავეთ სამუშაო ადგილზე მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა COVID-19-ის პრევენციისა და კონტროლის მიზნით?	☐ დიახ ☐ არა
	· COVID-19-თვის მომზადებისა და რეაგირების გეგმა ითვალისწინებს ერთობლივად გამოვლენილ რისკებს?	☐ დიახ ☐ არა
	· მომზადებისა და რეაგირების გეგმა შეესაბამება შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, მითითებებს?	☐ დიახ ☐ არა
	· რეგულარულად მიმართავთ შრომის უსაფრთხოების (OHS) სამსახურებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოებს ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, რათა უზრუნველყოთ უახლესი მითითებების და რჩევის გათვალისწინება COVID-19-თვის მომზადებისა და რეაგირების გეგმაში?	☐ დიახ ☐ არა
	· მომზადებისა და რეაგირების გეგმა ითვალისწინებს ვირუსის მიმართ ექსპოზიციის ყველა პოტენციურ წყაროს და სხვა რთულ ფაქტორებს, მათ შორის სამუშაო ადგილზე ვირუსის გავრცელებას, სტუმრებთან/მომხმარებლებთან და კონტრაქტორებთან/მომწოდებლებთან კონტაქტს, და დასაქმებულებს შორის კონტაქტს?	☐ დიახ ☐ არა
	· ჩამოყალიბდა და COVID-19-თვის მომზადებისა და რეაგირების გეგმის განხორციელების საკითხებში მომზადდა რეაგირების გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან დასაქმებულთა წარმომადგენლებიც, და დასახელდა პასუხისმგებელი პირი (რეაგირების ფასილიტატორი), რომელიც მას გაუძღვება?	☐ დიახ ☐ არა
	· აქტიურად ახორციელებთ და მონიტორინგის უწევთ COVID-19-თვის მომზადებისა და რეაგირების გეგმას და მუდმივად აუმჯობესებთ მას საზოგადოებრივი ჯანდაცვის ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული ორგანოების რეკომენდაციების შესაბამისად, რათა თავიდან აიცილოთ და ეფექტურად მართოთ შემთხვევები და შეამციროთ მათი ზემოქმედება დასაქმებულებსა და მომხმარებლებზე?	☐ დიახ ☐ არა

2.8	ეს გეგმა ითვალისწინებს კოორდინირებას, ან შრომის უსაფრთხოების (OSH) პროტოკოლების გამოყენებას ქვეკონტრაქტორებთან და გარეშე სამეურნეო სუბიექტებთან მიმართებით, რომლებიც სამუშაო ადგილზე ოპერირებენ?	☐ დიახ ☐ არა
2.9	შემოიღეთ სისტემა, რომლის მეშვეობითაც აღრიცხავთ სტატისტიკურ ინფორმაციას ტურიზმის დაგეგმვისა და მართვისათვის ტურიზმის და სტატისტიკის ადგილობრივ და ეროვნულ უწყებებთან სრული კოორდინირებით?	☐ დიახ ☐ არა

რესურსები

2.10	COVID-19-თვის მომზადებისა და რეაგირების გეგმისათვის გამოყავით ფინანსური და შრომითი რესურსები?	☐ დიახ ☐ არა
	· გამოყოფილი რესურსები შეესაბამება სამუშაო ძალის მოცულობას?	☐ დიახ ☐ არა
	· გამოყოფილი რესურსები საკმარისია დასაქმებულებისთვის, სტუმრებისთვის/მომხმარებლებისთვის საპონის, სადეზინფექციო საშუალებების, ხელის ანტიბაქტერიული სითხის, ქაღალდის ხელსახოცებისა და ცხვირსახოცების მარაგის შესაძენად და დასაქმებულებისათვის პირადი დაცვის აღჭურვილობის შესაძენად?	☐ დიახ ☐ არა

ვალდებულება და კომუნიკაცია

2.11	დასაქმებულებთან და მათ წარმომადგენლებთან კონსულტაციით ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და გაგიზიარათ განცხადება სამუშაო ადგილზე COVID-19-ის პრევენციის, ექსპოზიციის რისკის და გავრცელების შემცირების მიზნით მის მიერ აღებული ვალდებულების შესახებ?	☐ დიახ ☐ არა
2.12	ჩამოყალიბდა საკომუნიკაციო სისტემა, რათა საიმედო და უახლესი ინფორმაცია მიეწოდოს დასაქმებულებს, კონტრაქტორებსა და მომწოდებლებს სიტუაციის განვითარების შესახებ და იმის თაობაზე, თუ როგორ მოახდინონ COVID-19-ის გავრცელების პრევენცია?	☐ დიახ ☐ არა
	· აქვს ხელმძღვანელობას თანამშრომელთა განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მათი სატელეფონო ნომრები საგანგებო შემთხვევებისათვის?	☐ დიახ ☐ არა
	· თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა შსო-ის (ILO), ჯმო-ის (WHO), ასევე ეროვნული ან ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ გამოქვეყნებულ უახლეს ინფორმაციას და მითითებებს?	☐ დიახ ☐ არა
	· ამ ინფორმაციას ადგილობრივ ენებზე და კულტურად მისაღები ფორმით აწვდით?	☐ დიახ ☐ არა
	· თვალსაჩინო ადგილზე განათავსეთ და გაავრცელეთ ცხადად ჩამოყალიბებული მთავარი შეტყობინებები პერსონალისა და სტუმრებისთვის/მომხმარებლებისთვის, მათ შორის ძირითადი ჰიგიენის პრაქტიკის და COVID-19-ის, ხელის დაბანის, რესპირატორული ჰიგიენისა და დახველების ეტიკეტის შესახებ?	☐ დიახ ☐ არა

2.13	COVID-19-ის პრევენციის, მისადმი ექსპოზიციის რისკის და გავრცელების შემცირების პროტოკოლების და პასუხისმგებლობების თაობაზე ცხადი ინფორმაცია მიეწოდა ხელმძღვანელობას, დასაქმებულებსა და მომხმარებლებს?	☐ დიახ ☐ არა
2.14	დასაქმებულებმა მიიღეს რჩევა, რომ სახლში დარჩნენ და მიიღონ სამედიცინო დახმარება იმ შემთხვევაში, თუ COVID-19-თვის დამახასიათებელი რაიმე სიმპტომები ექნებათ?	☐ დიახ ☐ არა
2.15	ინფორმირებულნი არიან დასაქმებულები, რომ მათ უფლება აქვთ ისეთი სამუშაო სიტუაცია დატოვონ, სადაც მათი ჯანმრთელობისათვის სერიოზული და გარდაუვალი საფრთხე არსებობს?	☐ დიახ ☐ არა
2.16	მიიღეთ ზომები ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც შესაძლებელია ღიად, გულრწფელად იქნას განხილული COVID-19 და მისი ზემოქმედება?	☐ დიახ ☐ არა
2.17	პანდემიაზე რეაგირების კოორდინირების მიზნით ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა კომუნიკაციის არხები შრომის ინსპექტორებთან, ადგილობრივ თემებთან და ჯანდაცვის ადგილობრივ/რეგიონალურ ორგანოებთან (მათ შორის ჯანდაცვის ეროვნული პროტოკოლების დაცვით შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ტესტირების და კონტაქტების დადგენის კოორდინირების, შემთხვევებისა და გარდაცვალების შემთხვევების მართვის მიზნით)?	☐ დიახ ☐ არა

მოსამზადებელი ტრეინინგი სამუშაოზე უსაფრთხოდ დაბრუნებისათვის

2.18	საინფორმაციო ბრიფინგების ორგანიზება ხელმძღვანელობამ ყველა თანამშრომლისათვის განახორციელა?	☐ დიახ ☐ არა
	· მოიცავს ეს ბრიფინგები COVID-19-გან დაცვის ყველა ძირითად ღონისძიებას, უსაფრთხოების და ჰიგიენის პრაქტიკას, დაავადების ნიშნებსა და სიმპტომებს?	☐ დიახ ☐ არა
	ტრეინინგის ჩატარება შესაძლოა საჭირო იყოს ცალკეული პროცედურებში და თანამდებობებისთვის.	☐ დიახ ☐ არა
	· მოიცავს ეს ბრიფინგები ინდივიდუალური პირის და სხვათა ჯანმრთელობის დაცვის ზომებს, მათ შორის - სახლში დარჩენის და სამედიცინო დახმარების მიღების შესახებ რჩევებს იმ შემთხვევაში, როდესაც თანამშრომელს აქვს სიმპტომები, როგორიცაა ცხელება, ხველა, ან გ ა ძ ნ ე ლ უ ბ ულ ო ს უ ნ თ ქ ვ ა ?	

2.19	მენეჯერები მომზადებული არიან იმისათვის, რომ მაგალითი მისცენ დაქვემდებარეულ პირებს და ხელი შეუწყონ უსაფრთხო და ჯანსაღ ქცევას და ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებას?	☐ დიახ ☐ არა
2.20	მენეჯერები, დასაქმებულები და მათი წარმომადგენლები ინფორმირებულნი და მომზადებულნი არიან იმ ღონისძიებებში, რომელიც ვირუსისადმი ექსპოზიციის რისკის პრევენციის მიზნით შემოიღეთ და იმაში, თუ როგორ მოიქცნენ COVID-19-ით ინფიცირების სავარაუდო ან დადასტურებულ შემთხვევებში?	☐ დიახ ☐ არა
	· ტრეინინგი რეგულარულად და სისტემატურად, დროულად და კულტურად მისაღები ფორმით ტარდება ადგილობრივ ენებზე?	☐ დიახ ☐ არა
	· ტრეინინგი ეფუძვნება კონკრეტულ რისკებს, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა თანამდებობებთან და სამუშაოების შესრულებასთან?	☐ დიახ ☐ არა
	· ტრეინინგი მოიცავს მომზადებას პირადი დაცვის აღჭურვილობის სათანადო გამოყენებაში, მოვლასა და მის განთავსებაში?	☐ დიახ ☐ არა
	· ტრეინინგი მოიცავს რჩევებს ხელის დაბანის და ჰიგიენის შესახებ?	☐ დიახ ☐ არა
2.21	დასაქმებულები და ხელმძღვანელობა მომზადებულნი არიან უსაფრთხოების პროტოკოლებსა და მომსახურების უსაფრთხოდ მიწოდებაში?	☐ დიახ ☐ არა

მე-3 ნაწილი. დამატებითი ღონისძიებები ცალკეული პროფესიების და სამუშაოების შესასრულებლად განთავსების და საკვებით მომსახურების ღონისძიებებში

ყველა დამქირავებლისა და თანამშრომლის მიზანი უნდა იყოს დაცვის ღონისძიებების შესრულება დაბინავებისა და საკვებით მომსახურების ქვესექტორებში მათი თანამდებობის შესაბამისად. შემდეგ ნაწილში წარმოადგენილია იმ ღონისძიებათა არასრული სია, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა დაცვას ცალკეული თანამდებობებისა და შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით.

რეგისტრატურის და კონსიერჟის პერსონალი

3.1	რეგისტრატურის და კონსიერჟის პერსონალი მომზადებულია იმისათვის, რომ სტუმრებს/მომხმარებლებს ინფორმაცია მიაწოდონ დაწესებულების პოლიტიკისა და პრევენციული ღონისძიებების, ასევე იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც COVID-19-ით ინფიცირების სავარაუდო შემთხვევებში უნდა განხორციელდეს, ან სხვა მომსახურებების შესახებ, რომელიც შესაძლოა სტუმრებს დასჭირდეთ (მაგალითად, სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურება მოცემულ გეოგრაფიულ ადგილას, ან თვითონ ამ დაწესებულებაში)?	☐ დიახ ☐ არა
3.2	რეგისტრატურის და კონსიერჟის პერსონალი მომზადებულია იმისათვის, რომ ძირითადი ჰიგიენის შესახებ რეკომენდაციები მიაწოდოს და მონიტორინგი გაუწიოს იმ სტუმრებს, რომლებიც წესებს არღვევენ?	☐ დიახ ☐ არა
3.3	რეგისტრატურის და კონსიერჟის პერსონალისათვის ცნობილია ოთახის მაქსიმალური ტევადობის შესახებ პოლიტიკა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც COVID-19-ით სავარაუდოდ დაინფიცირებულ სტუმრებს თან ახლავან? [5]	☐ დიახ ☐ არა

5 WHO-ის დამატებითი მითითებები შეგიძლიათ იხილოთ WHO-ის ვებგვერდზე, მათ შორის: სამეცნიერო მიმოხილვა: *SARS-CoV-2-ის გადაცემა: ინფექციის პრევენციის უსაფრთხოების ზომები* და *საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მეთვალყურეობა COVID-19-თვის: შუალედური მითითება, 7 აგვისტო, 2020 წ.*

რესტორნების, სასადილო ოთახებისა და ბარის პერსონალი

3.4	რესტორნის, სასადილო ოთახის და ბარის პერსონალი ინფორმირებულია პირადი ჰიგიენის (ხელის ხშირი და რეგულარული დაბანა, დახველების ჰიგიენა) შესახებ მითითებების მაქსიმალურად მკაცრად დაცვის მნიშვნელობის შესახებ?	☐ დიახ ☐ არა
3.5	დასაქმებული მომზადებულნი და მომარაგებულნი არიან ადექვატური საშუალებებით, რათა გაწმინდონ და დეზინფიცირება ჩაუტარონ ბუფეტის ზედაპირებს ყოველი გამოყენების შემდეგ? ყავის, უალკოჰოლო სასმელების სავაჭრო ავტომატები მინიმუმ მათი ყოველი გამოყენების შემდეგ უნდა გაიწმინდოს და უფრო ხშირად, თუ ეს საჭიროა, და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმ ადგილებს, რომელთაც მომხმარებლები ხშირად ახებენ ხელს.	☐ დიახ ☐ არა
3.6	ის დასაქმებულები, რომელთაც საკვებთან და სასმელებთან აქვთ შეხება, ხშირად იბანენ ხელებს საპნით და წყლით ყოველ ჯერზე, შეხების შემდეგ?	☐ დიახ ☐ არა
3.7	შეზღუდულია სამზარეულოში და ბარში და ყველა სხვა ადგილას მომუშავე დასაქმებულების რაოდენობა, რათა მათ შეძლონ ფიზიკური დისტანციის დაცვა საერთოეროვნული მოთხოვნების შესაბამისად?	☐ დიახ ☐ არა
3.8	შეზღუდულია ყველა სამუშაო ინსტრუმენტის (საჭმლის მოსამზადებელი საგნები, დანები, და სხვ.) გამოყენება მხოლოდ ერთი თანამშრომლის მიერ?	☐ დიახ ☐ არა
3.9	მიიღეთ განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები წასაღებად მომზადებულ საჭმელთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოთ კურიერებთან უსაფრთხო კონტაქტი?	☐ დიახ ☐ არა
3.10	გამოყავით სპეციალური ადგილი წასაღებად მომზადებული საჭმლის პაკეტების განსათავსებლად?	☐ დიახ ☐ არა

ტექნიკური და მომსახურე პერსონალი

3.11	გაიზარდა ჰიგიენის და დასუფთავების მომსახურების სიხშირე თუნდაც თქვენს დაწესებულებაში არ იყოს COVID-19-ის შემთხვევები?[6]	☐ დიახ ☐ არა

---

[6] გაწმენდის და დეზინფიცირების, მათ შორის გასაწმენდი პროდუქტების შესახებ, უფრო მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ჯანმო-ს (WHO) გასათვალისწინებელი საკითხები დაბინავების სექტორის მართვისას: შუალედური პერიოდის მითითებები.

3.12	ინფორმირებულია ტექნიკური და მომსახურე პერსონალი დასუფთავებისა და დეზინფიცირების პოლიტიკის შესახებ, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ შემოთავაზებული მითითებების შესაბამისად შემუშავდა?	☐ დიახ ☐ არა
	• განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გაწმენდისა და დეზინფიცირების ღონისძიებებს საერთო სივრცეებში, მათ შორის მაგიდების და სკამების გაწმენდას და დეზინფიცირებას მას შემდეგ, როდესაც სტუმრები/მომხმარებლები ამ სივრცეებს დატოვებენ?	☐ დიახ ☐ არა
	განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საგნებს, რომელთაც ხშირად ეხებიან ხელით, როგორიცაა სახელურები, ლიფტის ღილაკები, კიბეების მოაჯირები, შუქის ჩამრთველები, კარის სახელურები, და სხვა?	☐ დიახ ☐ არა
	• გასაწმენდად გამოიყენება ისეთი ქიმიური პროდუქტები, რომელიც განსხვავებულია იმ პროდუქტებისაგან, რომელთაც COVID-19-მდე იყენებდით?	☐ დიახ ☐ არა
	• პირადი დაცვის აღჭურვილობა საკმარისად იცავს დასაქმებულებს როგორც COVID-19-გან, ასევე ნებისმიერი ახალი ქიმიური ნივთიერებისაგან, რომელთაც ისინი იყენებენ?	☐ დიახ ☐ არა
3.13	შემოიღეთ გაწმენდის და დეზინფიცირების სპეციალური პროტოკოლები ისეთი სიტუაციებიისათვის, როდესაც დაწესებულებაში ავადმყოფილი სტუმრები ან დასაქმებულები იქნებიან და რომელთაც დაწესებულების დატოვებიდან რამდენიმე დღეში COVID-19 დაუდასტურდებათ?	☐ დიახ ☐ არა
3.14	ყველა თანამშრომელს და მათ ზემდგომ პირებს დაურიგდათ წერილობითი რეკომენდაციები ინტენსიური გაწმენდისა და დეზიფიცირების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევა დადასტურდება?	☐ დიახ ☐ არა
	• ეს რეკომენდაციები შეიცავს ინტენსიური გაწმენდის, მყარი ნარჩენების მართვის და პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენების უფრო ინტენსიურ პროცედურებს?	☐ დიახ ☐ არა
3.15	ტექნიკურ და მომსახურე პერსონალს დაურიგდათ ადექვატური აღჭურვილობა და ჩაუტარდათ სპეციალური ტრეინინგი პირადი დაცვის აღჭურვილობის (ხელთათმანები, ერთჯერადი ხალათები, და სხვ.) გამოყენებაში?	☐ დიახ ☐ არა
	• იციან თუ არა მათ, რომ უნდა გამოიყენონ სახის დაცვის საშუალებები, როგორიცაა სახის დამცავი ფარი, და გაიკეთონ წყალგაუმტარი წინსაფრები, თუ ისინი ისეთ სამუშაოს შეასრულებენ, რომელიც დაკავშირებულია შხეფების წარმოქმნასთან (მაგ. ზედაპირების გადარეცხვა)?	☐ დიახ ☐ არა
	• იციან თუ არა მათ, რომ ხელის ჰიგიენის დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს მაშინვე, როდესაც პირადი დაცვის აღჭურვილობას მოიხსნიან და როდესაც სადეზინფექციო სამუშაოს შეასრულებენ?	☐ დიახ ☐ არა
3.16	ტექნიკურმა და მომსახურე პერსონალმა მიიღო ადექვატური ტექნიკური აღჭურვილობა და ჩაუტარდა ტრეინინგი გამწმენდი და სადეზინფექციო პროდუქტების მომზადებაში, გადატანაში, გამოყენებასა და შენახვაში?	☐ დიახ ☐ არა
3.17	ტექნიკური და მომსახურე პერსონალი ინფორმირებულია, რომ საჭიროა ხელმძღვანელობას აცნობონ ნებისმიერი შესაბამისი ინციდენტის შესახებ, მათ შორის ავადმყოფი სტუმრების პოტენციური შემთხვევების შესახებ?	☐ დიახ ☐ არა

3.18	იწმინდება და დეზინფიცირება უტარდება სპეციალურ დანადგარს, რომელიც გარეცხილი სარეცხის გადასატანად გამოიყენება?	☐ დიახ ☐ არა
3.19	ის სარეცხი (ქსოვილები, თეთრეული, ტანსაცმელი), რომელსაც შეეხო COVID-19-ით დაინფიცირებული ადამიანი, თავსდება სპეციალური აღნიშვნის მქონე სარეცხისათვის განკუთნილ პარკში, რათა შემცირდეს ვირუსის პოტენციური გავრცელების რისკი?	☐ დიახ ☐ არა
	მას ჩვეულებრივი სარეცხი საშუალებების გამოყენებით რეცხავთ ცხელი წყლის ციკლში ცალკე?	☐ დიახ ☐ არა
3.20	იმ არეალების დასუფთავების შედეგად დაგროვებულ ნარჩენებს, სადაც COVID-19 -ის შემთხვევები აღინიშნა, ათავსებთ ცელოფნის პარკში, თავს მოუკრავთ ხოლმე და უსაფრთხო ადგილას ათავსებთ?	☐ დიახ ☐ არა
3.21	გამოყოფილია ცალკე შესანახი ადგილი, სადაც მხოლოდ კურიერები დაიშვებიან, რათა ჰერმეტულად თავმოკრული პარკებში ჩალაგებული გასარეცხი ტანსაცმელი მოათავსოთ და გაადვილოთ სუფთა ტანსაცმლის დაბრუნება?	☐ დიახ ☐ არა

საკონტაქტო ინფორმაცია

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
მისამართი:
Route des Morillons 4
CH-1211 Geneva 22
Switzerland

დარგობრივი პოლიტიკის დეპარტამენტი
ელ.ფოსტა: covidresponsesector@ilo.org

© International Labour Organization 2020